ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2025 წლის 25 დეკემბერი

დაბა ლენტეხი

2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8 მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 2026 წლისთვის დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 27 დეკემბრის №19 (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016422, 01/01/2025 წ,.) დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით პირველი**

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2026 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	6597
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		1	4988
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	4345
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		5	3540

5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2	3218
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		7	2575
	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული –აპარატი			
7	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	I რანგი	1	3680
8	პროფესიული საჯარო მოხელე – I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	6	2080
9	პროფესიული საჯარო მოხელე – II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	2	1920
	ჯამი		27	